# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **ბრენდირებული ორგმინის და არაკალის** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი | რაოდენობა |
|---|---|
| ორგმინა თეთრი - ბრენდირებული დახვრეტილი (bogpay.ge) (სიგანე 47 სმ. სიგრძე 17.5 სმ. სისქე 2 მმ.) | 350 |
| ორგმინა თეთრი - ბრენდირებული დახვრეტილი (bogpay.ge) (სიგანე 45 სმ. სიგრძე 15 სმ. სისქე 2 მმ.) | 200 |
| ორგმინა თეთრი - ბრენდირებული დახვრეტილი (bogpay.ge) (სიგანე 44 სმ. სიგრძე 13.5 სმ. სისქე 2 მმ.) | 50 |
| არაკალი - თეთრი (wifi) (ზომა: სიგრძე - 8 სმ. სიმაღლე 6 სმ.) | 2000 |
| არაკალი - ნარინჯისფერი (ზომა: სიგრძე - 12 სმ. სიგანე 11 სმ.) | 2000 |
| სტიკერის კომპლექტი 1 (სხვადასხვა ზომის გამჭვირვალე, თვითწებადი, წყალგამძლე, UV ბეჭდვა სერვით) | 3000 |
| ორგმინა 1 | 400 |
| ორგმინა 2 | 2000 |
| ორგმინა 3 | 2000 |

***მახასიათებლები და ზომები***

| **დასახელება** | **ორგმინა გამჭვირვალე - 1** |
|---|---|
| სიგრძე | 110მმ |
| სიგანე | 100მმ |
| სისქე | 5 მმ |
| ფერი | გამჭირვალე |
| დამატებითი მოთხოვნა | შუა ამოსერვა 3მმx2მმ |

| **დასახელება** | **ორგმინა გამჭვირვალე - 2** |
|---|---|
| სიგრძე | 135 მმ |
| სიგანე | 120 მმ |
| სისქე | 5 მმ |
| ფერი | გამჭირვალე |

| | |
|---|---|
| დამატებითი მოთხოვნა | შუა ამოსერვა 3მმx2მმ |

| **დასახელება** | **ორგმინა გამჭვირვალე - 3** |
|---|---|
| სიგრძე | 134 მმ |
| სიგანე | 120 მმ |
| სისქე | 2 მმ |
| ფერი | გამჭირვალე |

**სტიკერი კომპლექტში 1**

მასალა: გამჭვირვალე, თვითწებადი ფირი წყალგამძლე

ბეჭდვა: 4+0, ეკოსოლვენტური, წყალგამძლე, ფერგამძლე.

დამუშავება: დასერილი თითოეული შესაბამის ფორმაზე, ერთ კომპლექტად

UV ბეჭდვა

გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულოა პროდუქციის სატესტოდ მოწოდება.

მოწოდებული პროდუქტი უნდა იყოს მაღალი ხარისხის, ორგმინა და არაკლი არ უნდა გახუნდეს და გაიცრიცოს 2 წლის განმავლობაში

***მოწოდების ვადა***

მოწოდება უნდა განხორციელდეს 1 ეტაპად - 2026 წლის იანვარში

მოწოდების მისამართი - ქ.თბილისი, შ.გოგიძის ქ. # 8

გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ნასყიდობის საგნის მოწოდება/დასაწყობება მითითებულ ლოკაციაზე.

***ანაზღაურება***

ნასყიდობის საგნის მოწოდებიდან 5 დღის ვადაში

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი

Direct Debit Georgia

- ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
- ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;

✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97;  ltkeshelashvili@ddg.ge

**შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 03/12/2025 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**